

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“



ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ. №68-ში, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი და არსებული მესამე კორპუსის შენობების არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურება

საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვები შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანების საფუძველზე.

2017 წელი

ქალაქი თბილისი

საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს კონკურსს არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (კლასიფიკატორის CPV კოდი: CPV71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV71220000 - არქიტექტურულ დაპროექტებასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV71222000 - არქიტექტურული მომსახურებები შენობის გარეთ განთავსებული ფართობებისთვის; CPV71223000 - არქიტექტურული მომსახურება შენობის გაფართოებისთვის; CPV71242000 - პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია, ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №68-ში მდებარე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი და არსებული მესამე კორპუსის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო არქიტექტურული პროექტის კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო) **სამშენებლო** დოკუმენტაციის შედგენა, საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში (საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი № 1) განსაზღვრული მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.
3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1,032,048 (ერთი მილიონი, ოცდათორმეტი ათას ორმოხდარვა) ლარს, დღგ-ს გარეშე.
4. **საკონკურსო წინადადების ფასი**
 - 4.1 საკონკურსო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შესყიდვის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის, მათ შორის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე სხვა ნებისმიერი ექსპერტის დასკვნის ღირებულება და საავტორო ზედმხედველობის ღირებულების გათვალისწინებით სრული სამშენებლო პერიოდის განმავლობაში დღგ-ს გარეშე. პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ის გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა.
 - 4.2 საკონკურსო წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას.
 - 4.3 საკონკურსო წინადადების ფასს პრეტენდენტი უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საკონკურსო წინადადების ჯამური ფასი უნდა შეიცავდეს საავტორო ზედმხედველობის ღირებულებას სრული სამშენებლო პერიოდის განმავლობაში, რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით, ცხრილი N3-ის შესაბამისად. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება, პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკური დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
 - 4.4 წარმოდგენილ ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე სხვა ნებისმიერი ექსპერტის დასკვნის ღირებულება.
5. საკონკურსო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ.
6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.
7. შესყიდვის ობიექტის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე კონკურსში მოთხოვნილია სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარმოდგენა:
 - 7.1 იურიდიული პირებისათვის:

- ა) ცნობა, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ბ) ცნობა ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;
- გ) ცნობა ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- დ) ცნობა, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

7.2 ფიზიკური პირებისთვის:

- ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, პირის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.
- გ) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის არ არსებობის შესახებ.

პრეტენდენტის მიერ წარსადგენი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი გაცემული უნდა იყოს კონკურსისთვის კონკურსის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია „მინიჭების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში - კონკურსისთვის კონკურსის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

არარეზიდენტმა პირებმა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან, რომლებიც დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

კონკურსში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, **საბანკო გარანტია**, ხელშეკრულების საერთო ღირებულების **2%-ის** ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 3 (სამი) თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

8. პრეტენდენტის გამოცდილება

- 8.1 პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანია იმის შეფასება და განსაზღვრა, შეძლებს თუ არა პრეტენდენტი ამ საკონკურსო დოკუმენტაციით შესასრულებელი მომსახურების დროულად, სრულყოფილად და სათანადო ხარისხით განხორციელებას.
- 8.2 პრეტენდენტს 2014 წლის 01 იანვრიდან კონკურსის გამოცხადებამდე უნდა გააჩნდეს შენობა-ნაგებობის პროექტირების შემდეგი გამოცდილება:
 - 8.2.1 2014 წლის 01 იანვრიდან კონკურსის გამოცხადებამდე, ჯამურად დაპროექტებული ფართის რაოდენობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 50 000 (ორმოცდაათი ათასი) კვადრატულ მეტრს.
 - 8.2.2 ამავე პერიოდის განმავლობაში პროექტირებიდან მიღებული ჯამური საერთო შემოსავალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 425 000 (ოთხასოცდახუთი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
 - 8.2.3 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას საკონკურსო განცხადების 8.2.1 და 8.2.2 პუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი ხელშეკრულებების რეესტრი ცხრილი №1-ის შესაბამისად. (მიმდინარე და/ან შეწყვეტილი ხელშეკრულება გამოცდილებაში არ ჩაითვლება)
 - 8.2.4 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას რეესტრში (ცხრილი №1) მოყვანილი ხელშეკრულებების ფარგლებში გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები - ხელშეკრულების ასლები, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.
 - 8.2.5 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეესტრში მოყვანილი ხელშეკრულებებზე დამსაქმებლის მიერ გაწეული დადებითი რეკომენდაცია, სადაც მითითებული იქნება დამსაქმებლის სახელი, სახელშეკრულებო ღირებულება, გაწეული მომსახურების აღწერა, მომსახურების გაწევის ვადები და ინფორმაცია თუ რამდენად ჯეროვნად შეასრულა პრეტენდენტმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8.2.6 არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მიღება-ჩაბარების აქტი ან დადასტურებული ანგარიშსწორების ფაქტურა ან სამუშაოების დასრულების სერთიფიკატი ან სხვა ანალოგიური დოკუმენტი ქართულ ენაზე შესრულებული ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის თანხლებით, (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი.

8.3 პრეტენდენტს უნდა შეეძლოს დააკომპლექტოს დამოუკიდებელი საპროექტო ჯგუფი (ცხრილი №2-ში მითითებული სპეციალობების, გამოცდილების და რაოდენობის გათვალისწინებით) რომელთაც პარალელურ რეჟიმში უნდა შეეძლოთ სამუშაოების შესრულება და უნდა გააჩნდეთ შესაბამისი გამოცდილება შენობა-ნაგებობის დაპროექტებაში. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პერსონალის გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია:

8.3.1 პირადობის მოწმობის ასლი

8.3.2 რეზიუმე (ე.წ CV) სადაც სრულყოფილად იქნება მოცემული ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შინაარსზე (ანუ არამხოლოდ სამუშაო ადგილის ან პროექტის და თანამდებობის დასახელება, არამედ ამ პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოს მოკლე აღწერა)

8.3.3 დიპლომის ან შესაბამისი სერთიფიკატის ასლი, რომლითაც დასტურდება უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში.

8.3.4 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცხრილი #2-ში მითითებულ სპეციალისტებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ან შეთანხმება, იმის დასადასტურებლად, რომ კონკურსის დროს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სპეციალისტ(ებ)ი განახორციელებენ შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ სამუშაოს თავისი კომპეტენციის და სპეციალიზაციის ფარგლებში. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიწოდებლის მიერ სპეციალისტის ცვლილება უნდა განხორციელდეს მინიმუმ ანალოგიური გამოცდილების მქონე სპეციალისტით და წინასწარ შეთანხმდეს წერილობითი ფორმით შემსყიდველთან (იხილეთ დანართი #2).

ცხრილი №1 – 2014 წლის 1 იანვრიდან კონკურსის გამოცხადებამდე პერიოდში არსებული გამოცდილება

N	შემსყიდველი ორგანიზაცია		მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულება				ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება	მიწოდების ვადა
	ობიექტის დასახელება	საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	თარიღი	ნომერი	ღირებულება	მოქმედების ვადა		
1								
2								
3								
ჯამი							არანაკლებ 425 000 ლარი	

შენიშვნა:

შემსყიდველი უფლებამოსილია, ინფორმაციისათვის ან/და რეკომენდაციისათვის მიმართოს პრეტენდენტის იმ დამკვეთებს, რომლებთან გაფორმებულ დოკუმენტებსაც წარმოადგენს პრეტენდენტი გამოცდილების დასტურად და ამ დამკვეთთაგან მიღებული ინფორმაცია გაითვალისწინოს პრეტენდენტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

ცხრილი №2 - პრეტენდენტის პერსონალის მიმართ განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნები

N	პერსონალი	მინიმალური გამოცდილება (წლები)	რაოდენობა
1	არქიტექტორი	5	2
2	კონსტრუქტორი	5	1

3	მექანიკური ინჟინერი (გათბობა, კონდიციონირება, ვენტილაცია, წყალგაყვანილობა)	5	1
4	ელექტრო ინჟინერი	5	1

შენიშვნა:

უცხოელი სპეციალისტის წარმოდგენის შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს, კონკრეტულად რა სამუშაოებს შეასრულებს ეს სპეციალისტი ამ პროექტში.

9. ვადები და ანგარიშსწორების პირობები

- 9.1 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ვადაა 150 (ასორმოცდაათი) კალენდარული დღე ხელშეკრულების ხელმოწერიდან.
- 9.2 კონცეფციის დამტკიცების შემდეგ, შემსრულებელს განესაზღვრება სამუშაოთა წარმოების დეტალური გრაფიკი ე.წ. „არსებითი თარიღებით“ (Milestones). პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში, ყოველ 14 კალენდარულ დღეში, შემსრულებელმა უნდა წარადგინოს საკუთარი პროგრესი და შესრულებული სამუშაოს ანგარიში.
- 9.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება ცხრილი №3-ში მითითებული გრაფიკის გათვალისწინებით, ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ანაზღაურებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში.
- 9.4 შემსრულებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შესრულებული საპროექტო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დასკვნის საფასურის გადახდას, რომელიც გაცემული უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე სხვა საექსპერტო ბიუროს მიერ, ისევე როგორც გამოვლენილი ხარვეზების გასწორებას.
- 9.5 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, მაქსიმუმ მთლიანი სახელშეკრულებო თანხის არაუმეტეს 10%-ის ოდენობით, შემსრულებლის მიერ საბანკო ან სადაზღვევო კომპანიის მიერ შესაბამის თანხაზე გაცემული გარანტიის წარდგენის შემთხვევაში. საავანსო გარანტიის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. საავანსო თანხის დაქვითვა იწარმოებს ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თანხებიდან.

ცხრილი №3 - ანგარიშსწორების გეგმა-გრაფიკი

- 9.6. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
- 9.7 ანგარიშსწორების გრაფიკი (მხარეთა შეთანხმებით);
- 9.8. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ. კერძოდ, შემსყიდველი ავანსად გადაურიცხავს მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს მიმწოდებლის მიერ ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, ასეთი გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში. დარჩენილი სახელშეკრულებლო თანხის 90%-ის გადახდა მიმწოდებლისათვის განხორციელდება ანგარიშსწორების გრაფიკით გათვალისწინებული ეტაპების გათვალისწინებით, კონკრეტული ეტაპის დასრულების შემდეგ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში. მოთხოვნა საავანსო გადახდაზე უნდა იყოს აღნიშნული საკონკურსო წინადადებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულების დადების დროს და მისი მოქმედების პერიოდში მოთხოვნა საავანსო გადახდაზე დაუსშვებელია.
- 9.9. 9.8. პუნქტში მითითებული მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორების გრაფიკით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპების დასრულების შემდეგ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.
- 9.10 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: **100 % - სახელმწიფო ბიუჯეტი (2017 და 2018 წლის სახსრები)**
- 9.11 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა - 1 032 048 ლარი დღგ-ს გარეშე.

#			
1	ავანსი	10%	საბანკო ან სადაზღვევო კომპანიის მიერ შესაბამის თანხაზე გაცემული გარანტიის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში
2	1 ეტაპი - სრული სექმატური ნახაზები, რაც მოიცავს: არქიტექტურულ ნაწილში დამკვეთთან შეთანხმებულ საბოლოო იერსახეს, გეგმარებას და სექმატურ კონსტრუქციებს. საინჟინრო ნაწილში: პრინციპიალური სქემას რომელზეც ნაჩვენები იქნება პროექტის განვითარების შემდგომი სტადიები და გამოყენებული ტექნოლოგიები.	20%	ხელშ. გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეში. ანაზღაურება - ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ეტაპის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში
3	2 ეტაპი - პროექტის ყველა დისციპლინის მომზადება სანებართვო პირობების შესაბამისად. საინჟინრო ქსელების გარადამავალი პროექტი რომელიც უნდა მოიცავდეს: თითოეული სართულის საინჟინრო ქსელების ნახაზებს, შახტების ზომებს საინჟინრო კომუნიკაციებისთვის, დანადგარების განთავსების ადგილებს, სიმძლავრეების ზუსტ გაანგარიშებას და ა.შ.	20%	პირველი ეტაპის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეში. მეორე ეტაპი დასრულებულად ჩაითვლება შესაბამისი ნებართვების აღების შემდეგ ანგარიშსწორება განხორციელდება მეორე ეტაპის დასრულების და შესაბამისი ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში.
4	3 ეტაპი - სატენდერო დოკუმენტაცია (მუშა პროექტი). სრული არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო საპროექტო დოკუმენტაცია წინა ეტაპებზე შეტანილი ცვლილებების ან/და შესწორებების გათვალისწინებით (საბოლოო რევიზია).	40%	მეორე ეტაპის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეში. ანაზღაურება - ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ეტაპის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში
5	საავტორო ზედამხედველობა	10%	საპროექტო ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 10%, გადანაწილებული პირდაპირპროპორციულად მშენებლობის მიმდინარეობის სრულ პერიოდზე. ანაზღაურება მოხდება ყოველი კალენდარული თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

10. საკონკურსო წინადადების შეფასების კრიტერიუმი

10.1 საკონკურსო წინადადების ხარისხის შეფასების კოეფიციენტი შეადგენს 70% (სამოცდაათი).

10.2 საკონკურსო წინადადების ფასის შეფასების კოეფიციენტი შეადგენს 30% (ოცდაათი)

11. ხარისხის შეფასების კრიტერიუმები

საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისთვის დადგენილი ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილები, მოცემულია ცხრილი №4-ის სახით:

ცხრილი №4 - ხარისხის შეფასების კრიტერიუმი

N	ხარისხის შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	საპროექტო შენობა/ნაგებობის არქიტექტურული დიზაინი/ვიზუალიზაცია (შენიშვნა: არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს)	(0.2)
2	პროექტის ფუნქციონალური მხარის შეფასება (შენიშვნა: არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს).	(0.3)
3	პრეტენდენტის გამოცდილება (შენიშვნა: თვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს)	(0.2)
4	პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილება (შენიშვნა: თვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს)	(0.2)
5	დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა (შენიშვნა: თვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს)	(0.1)
სულ		1

12. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- 12.1 პრეტენდენტის რეკვიზიტები, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N3-ის სახით.
- 12.2 საკონკურსო განცხადების 8.2 მუხლით და მისი ქვეპუნქტებით განსაზღვრული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შევსებული ცხრილი №1.
- 12.3 საკონკურსო განცხადების 8.3 მუხლით და მისი ქვეპუნქტებით განსაზღვრული პერსონალის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ცხრილი №2-ის შესაბამისად შევსებული დანართი #2.
- 12.4 საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალებით (დანართი N1) მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

13. დამატებითი ინფორმაცია

- 13.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნას წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).
- 13.2 კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
- 13.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.
- 13.4 პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული საკონკურსო წინადადება.
- 13.5 საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით. საკონტაქტო პირია: საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი - დავით მიქაცაძე, ტელ: 577 53 85 42 - შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი

დანართი N1 - ტექნიკური დავალება

კონკურსანტებს ევალებათ არქიტექტურული კონცეფციის შექმნა და შემდეგი სახის დოკუმენტაციის წარდგენა;

1. გენგეგმა
2. კონცეპტუალური გეგმები პდფ-ს სახით, ზონების განაწილებით და ყველა სართულის ჩვენებით
3. ფასადები
4. ჭრილები
5. ფოტორენდერები ექსტერიერის არანაკლებ 6 ფოტოსა და ინტერიერის ფრაგმენტული არანაკლებ 3 ფოტოს ჩვენებით
6. განმარტებითი ბარათი
7. მოდელირებული მოკლე ვიდეო რგოლი;

გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა შეასრულოს ქ.თბილისში, კოსტავას #68-ში, ნაკვეთი 09/052 (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.14.14.009.052) ახალი შენობის, არსებული კორპუსის და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, კონსტრუქციული, არქიტექტურული, ინტერიერის დიზაინის, საინჟინრო პროექტირების და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები და შემდგომ საავტორო ზედამხედველობა სრული სამშენებლო პერიოდის განმავლობაში.

- ✓ არსებული შენობა ნაგებობების ფართი (მესამე კორპუსი, არსებული პარკინგი) შეადგენს 9 060 კვ. მ.-ს
- ✓ ახალი შენობა ნაგებობების სავარაუდო საპროექტო ფართი შეადგენს 15 000 კვ.მ-ს
- ✓ გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის დაახლოებითი ფართი შეადგენს 5 000 კვ.მ-ს

შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა:

1. საინჟინრო - გეოლოგიური დასკვნა
2. არსებული პარკინგის და მესამე კორპუსის აზომვითი ნახაზები
3. არსებული შენობა ნაგებობების გამაგრების და ახალი კორპუსის კონსტრუქციული პროექტი.
4. განმარტებით ბარათი: პროექტის დეტალური აღწერით
5. სრული არქიტექტურული პროექტი: გეგმები, ფასადები, ჭრილები, კვანძები, ინტერიერის მოწყობა განშლების და დეტალების ჩვენებით, მასალების შერჩევა, დეტალური სპეციფიკაცია და ა.შ. ფასადებისა და ინტერიერის ფრაგმენტული რენდერები, 3D ვიზუალიზაცია; *(საქართველოს მთავრობის 06.02.2017 წლის #63 დადგენილებით მუხლი 9-ით განსაზღვრული არქიტექტორული პროექტის სრული შემადგენლობა).*
6. საინჟინრო პროექტი უნდა მოიცავდეს: გათბობა, კონდიციონერა (გაგრილება); ვენტილაცია (მათ შორის სახანძრო); წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, ელექტრომომარაგების სისტემა, სუსტი დენები (აუდიო, გახმოვანების, სატელეფონო, სახანძრო დეტექციის და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები).
7. ტექნოლოგიური ნაწილი (ავეჯის განლაგების მითითებით)
8. აკუსტიკის პროექტი.
9. ვერტიკალური გეგმარება. კეთილმოწყობის პროექტი (დეკორატიული ბილიკები, ასფალტის საფარი, გამწვანება, ღია პარკინგი და ა.შ.)

10. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (სამშენებლო გრაფიკით)
11. მშენებლობის სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.
12. ჯანმრთელობის, შრომის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის რეკომენდაციები.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია დადასტურებული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე საექსპერტო ბიუროს დასკვნით, რომლის ღირებულების გადახდას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

საქართველოს მთავრობის 06.02.2017 წლის #63 დადგენილების თანახმად უნდა ჩაუტარდეს არქიტექტურული ექსპერტიზა უსაფრთხოების საკითხებში.

პროექტებისას უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტელევიზიის შენობის შიდა სივრცის ფუნქციური ზონირება სტრუქტურული დანაყოფების მიხედვით, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის შეუფერხებლად ოპერირების გამსაზღვრელი ფაქტორია.

დაპროექტებული უნდა იქნას 4 (ოთხი) სატელევიზიო პავილიონი, შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- I. პირველი პავილიონის მოწყობის სავარაუდო ლოკაციად განსაზღვრულია არსებული პარკინგის თავზე (იხილეთ ზონირება), პავილიონის შიდა ფართი უნდა შეადგენდეს 1000 კვ.მ. რასაც ემატება დაახლოებით 250-300 კვ.მ მომსახურების და დამხმარე ოთახები, პირველი პავილიონის სიმაღლე უნდა იყოს 14 მეტრი, პავილიონის სივრცეში არ უნდა იყოს გამოყენებული კოლონები, სივრცე უნდა იყოს თავისუფალი.
- II. მეორე პავილიონის სავარაუდო ლოკაციად განსაზღვრულია ახალი მთავარი შენობისთვის განკუთვნილი ზონა, (იხილეთ ზონირების ფაილი), პავილიონის შიდა ფართი უნდა შეადგენდეს 500 კვ.მ. რასაც ემატება დაახლოებით 150-200 კვ.მ მომსახურების და დამხმარე ოთახები. პავილიონი დაკავშირებული უნდა იყოს მთავარ შენობასთან. ჭერის სიმაღლე უნდა იყოს 8 მეტრი, პავილიონის სივრცეში არ უნდა იყოს გამოყენებული კოლონები, სივრცე უნდა იყოს თავისუფალი.
- III. მესამე პავილიონი უნდა განთავსდეს არსებულ 3-ე კორპუსში. პავილიონის საერთო ფართი შეადგენს 750 კვ.მ. რასაც ემატება დაახლოებით 200-250 მკვ.მ დამხმარე ოთახები რაც უნდა განაწილდეს არსებული მე-3 კორპუსის პირველ სართულზე.
- IV. მეოთხე პავილიონი უნდა მოეწყოს მე-3 კორპუსის თავზე, კონსტრუქცია უნდა იყოს მსუბუქი. საერთო ფართი შეადგენს 200 კვ.მ-ს.

ახალი კორპუსის ქვეშ უნდა მოეწყოს 3 სართულიანი პარკინგი, სავარაუდო ფართით: 6000-6500 კვ.მ. (სასურველია მანქანების მთავარი შესასვლელი იყოს კოსტავას ქუჩის მხრიდან).

გარე ტერიტორიაზე უნდა შეირჩეს და მოეწყოს ე.წ. „პეტეეს“-ის მანქანების სადგომი ადგილი, რომლის სავარაუდო ადგილმდებარეობა მითითებულია ზონირების ფაილში. „პეტეეს“-ის მანქანების რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმ 10 (ათი). მათთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ელექტრო კვების წყარო.

არსებული პარკინგისათვის, რომლის ფართიც შეადგენს 2060 კვ.მ-ს, უნდა მომზადდეს კონსტრუქციული გამაგრების და სარემონტო სამუშაოების პროექტი.

არსებული შენობისათვის (3-ე კორპუსი) რომლის საერთო ფართი დაახლოებით შეადგენს 7000 კვ.მ-ს

უნდა მომზადდეს კონსტრუქციული გამაგრების და სარემონტო სამუშაოების პროექტი.

მესამე კორპუსში პავილიონის მოწყობის დაგეგმარებასთან ერთად, უნდა შესრულდეს მთლიანი შენობის ინტერიერის დიზაინის პროექტი (ფართების ფუნქციური გადანაწილება უნდა შესრულდეს თანდართული დავალების მიხედვით) და ფასადის განახლების პროექტი. ასევე მესამე კორპუსში უნდა შემუშავდეს პავილიონის ჭერის სივრცის დადაბლების და ახალი გადახურვის კონსტრუქციული გადაწყვეტილება.

ე.წ. „ნიუს რუმი“ უნდა განთავსდეს ახალი შენობის ბოლო ორ სართულზე. მისი დაპროექტება უნდა მოხდეს თანდართული სტანდარტების გათვალისწინებით (იხ. სტანდარტები გვ. 160-182).

ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს 100 კაციანი დარბაზი, სცენით. დაახლოებითი ფართი 500-600 მ2. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს მომსახურე სივრცეები, ასევე საჭიროა ჰოლის მოწყობა მიწისპირა სართულზე. სავარაუდო ლოკაცია - ახალი მთავარი შენობა (იხილეთ ზონირების ფაილი)

სხვა ფართების ფუნქციური დანიშნულება და სავარაუდო მაჩვენებლები მოცემულია ტექნიკური დავალების თანდართულ დოკუმენტად N8.

საპროექტო სივრცე უნდა იყოს მაქსიმალურად ენერგოეფექტური, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი თბო დანაკარგები. გამოყენებული მასალები უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა, კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო ექსპლუატაციას მოსალოდნელ დატვირთვებზე.

ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალებისა შერჩევა უნდა განხორციელდეს დამკვეთთან შეთანხმების საფუძველზე.

წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის აღების ან/და ჩასატარებელი სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩენილი საპროექტო ან/და სახარჯთაღრიცხვო ხარვეზების გამოსწორებას უზრუნველყოფს პროექტის ავტორი დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

პროექტისას უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტელევიზიის შენობის შიდა სივრცის ფუნქციური ზონირება სტრუქტურული დანაყოფების მიხედვით, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის შეუფერხებლად ოპერირებისათვის გამსაზღვრელი ფაქტორია.

შენობის კონცეფცია უნდა იყოს თანამედროვე, განსხვავებული და კონტრასტული მიმდებარე შენობებთან მიმართებაში. უნდა ჰქონდეს მსუბუქი, ჰაეროვანი და გამჭვირვალე იერსახე.

პროექტის განმარტებით ბარათში აღწერილი უნდა იყოს არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტილებები (უნდა დაერთოს საჭირო ანგარიშები, ფუნქციური ზონები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა.შ.). მოცემული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები ფუნქციური ზონების მიხედვით და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები, საორიენტაციო კალენდარული გრაფიკი და სავარაუდო ფინანსური გრაფიკი, საჭირო მანქანა-მექანიზმები. მითითებული

უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები, წესები და გაანგარიშების მეთოდები. განსაზღვრული უნდა იყოს შენობა-ნაგებობის კლასი.

მითითებული უნდა იყოს მომხმარებელთა რაოდენობა, საპროექტო სიმძლავრეები (მაგ: წყალმომარაგება, წყლის და საკანალიზაციო ქსელების, სანიაღვრეების საანგარიშო ხარჯები, ელ. დატვირთვები, მოთხოვნილი გაზომომარაგება და ა.შ.), სათანადო საინჟინრო გაანგარიშებები, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო მაღალი ხარისხის მოთხოვნებს (სასურველია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით), პროექტით გათვალისწინებული ყველა ტექნოლოგიური და ელექტრო მოწყობილობა-დანადგარის საპროექტო მახასიათებლები და ა.შ.

გათვალისწინებული უნდა იყოს აკუსტიკური ბარიერები, აკუსტიკური მაჩვენებლები მოსაპირკეთებელი მასალებისათვის ყველა იმ ზონაში სადაც მიმდინარეობს გახმოვანება, ხმის ჩაწერა და ა.შ. შესაბამის სივრცეებში სადაც ამის აუცილებლობაა (მაგ: სააპარატო) გათვალისწინებული უნდა იყოს „აწეული იატაკი“ (raised floor) კომუნიკაციებისათვის.

პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შენობების ადაპტაციის ღონისძიებები (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“) მოთხოვნების შესაბამისად უნდა განთავსდეს ადაპტირებული ლიფტი და სანიტარული კვანძები.

ესთეტიკური თვალსაზრისით შენობის ინტერიერი უნდა ქმნიდეს თანამედროვე, ღია ტიპის, დინამიურ და სუფთა სამუშაო გარემოს. ინტერიერის პროექტში დამუშავებული უნდა იყოს ავეჯის განლაგების სქემა, ნახაზები, განშლები და დიზაინი მასალების გათვალისწინებით და სავარაუდო მწარმოებლებით.

სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვები და სატენდერო სამუშაოთა მოცულობების ცხრილები შედგენილი უნდა იყოს დამკვეთთან შეთანხმებული ფორმით.

ტექნიკური სპეციფიკაციები ცალკე უნდა დაერთოს პროექტს და უნდა მოიცავდეს სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. სპეციფიკაციებში მითითებული უნდა იყოს ყველა აუცილებელი სტანდარტი გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობა-დანადგარებისათვის, სამუშაოთა შესრულების/გამოცდის მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.

პროექტის გრაფიკული ნაწილი შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისთვის მოთხოვნილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბებში და დეტალიზაციით გრაფიკული ნაწილი უნდა მოიცავდეს ობიექტის სიტუაციურ და გენერალურ გეგმებს. მითითებული უნდა იყოს თუ რომელი სტანდარტები და კოდები არის გამოყენებული არქიტექტურული და ინტერიერის პროექტის შექმნის დროს. ხაზობრივი ნაგებობის გრძივ და განივ პროფილებს, ტიპიურ კვეთებს ყველა დეტალის ჩვენებით. ნახაზზე მოცემული უნდა იყოს სამუშაოთა მოცულობებისა და მასალათა სპეციფიკაციის ცხრილები მასალების მწარმოებლების მითითებით. თანდართული უნდა იყოს ნახაზების რეესტ

თანდართული დოკუმენტაცია:

1. ტოპო გეგმა;
2. აზომვითი ნახაზი;

3. გარე კომუნიკაციები;
4. ზონირება;
5. მერია-გაპი
6. სამხარაულის დასკვნები;
7. სტანდარტები;
8. ტექნიკური დავალება

შენიშვნები და განმარტებები თანდართულ დოკუმენტაციაზე:

1. ტოპოზე ასახულია მხოლოდ ის ტერიტორია სადაც უნდა მოხდეს პროექტის განვითარება
2. შესრულებულია არსებული პარკინგის და მესამე კორპუსის აზომვითი ნახაზი
3. მოცემულია ინფორმაცია არსებულ გარე კომუნიკაციებზე
4. მონიშნულია სავარაუდო ადგილები ახალი შენობა ნაგებობების განსათავსებლად
5. წარმოდგენილია მერიასთან შეთანხმებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
6. წარმოდგენილია ლ.სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნები არსებულ შენობა ნაგებობებზე (პარკინგი, 3-ე კორპუსი)
7. წარმოდგენილია სტანდარტები „ნიუს რუმისთვის“ . იხ. გვ 160-დან გვ 182 მდე
8. თანდართულ ფაილში აღწერილია ფართების ფუნქციური დანიშნულება, მასზე გათვალისწინებული პერსონალის რაოდენობა, მიახლოებითი ფართების მითითებით, ზონების დაყოფით;

შენიშვნა: ზონირებაზე მოცემულია სავარაუდო ლოკაციები ახალი ნაგებობებისთვის. კონკურსატნს შეუძლია თავის ხედვით წარმოადგინოს ესკიზური პროექტი ტექნიკური დავალების თანდართულ დოკუმენტი No8-ის შესაბამისად.

კონკურსის მონაწილე უფლებამოსილია დაუკავშირდეს დამკვეთის შესაბამის წარმომადგენელს, საპროექტო ობიექტის „მოედნის“ გაცნობითი შეხვედრის ორგანიზებისათვის - დავით მიქაცაძე, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი ტელ: 577 53 85 42 - შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი;

დანართი # 2 - მონაცემები პრეტენდენტის სპეციალისტების შესახებ

№	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	სპეციალობა	სამუშაო გამოცდილება (წლები)
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი:

შენიშვნა: პრეტენდენტს შეუძლია წარმოადგინოს დამატებითი (დამხმარე) სპეციალისტების პროექტში ჩართულობა, რაც შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ უპირატესობათ.

პირადი მონაცემები					
სპეციალისტის სახელი და გვარი					
პირადი ნომერი					
დაბადების თარიღი: (რიცხვი, თვე, წელი)					
მოქალაქეობა					
საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)					
პროექტში დასაკავებელი თანამდებობა					
განათლება					
უმაღლესი განათლება (უმაღლესი სასწავლებელი, სწავლის წლები, სპეციალობა)					
ტრენინგები და სერთიფიკატები (დასახელება და თარიღები)					
სამუშაო გამოცდილება					
კომპანიის დასახელება (საიდენტიფიკაციო კოდი)	პროექტის დასახელება	მუშაობის წლები	დაკავებული თანამდებობა	საამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	სპეციალიზირებული სფეროს ჯამური ღირებულება (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)

შენიშვნა:

- პრეტენდენტის მიერ, წინამდებარე დანართში წარმოდგენილი დეტალური მონაცემები სპეციალისტების პროფესიული გამოცდილების შესახებ, უნდა შეესაბამებოდეს საკვალიფიკაციო დოკუმენტის მოთხოვნებს და შესაბამის დანართში წარმოდგენილ მონაცემებს (პროფესიული გამოცდილება)

- საინფორმაციო ანკეტით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე სოლიდარული პასუხისმგებლობა ეკისრებათ პრეტენდენტსა და პირს (სპეციალისტი), რომლის შესახებაც არის წარმოდგენილი ინფორმაცია. შემსყიდველი უფლებამოსილია გადაამოწმოს მასში მოცემული ინფორმაციის სისწორე. საინფორმაციო ანკეტით წარმოდგენილი ინფორმაციის უზუსტობის შემთხვევაში, შემსყიდველი მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ამასთან, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს პიროვნების თანხმობის გარეშე ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში და მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
- საინფორმაციო ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს სათითაოდ თითოეულ თანამშრომელზე და მას თან უნდა დაერთოს პირადობის და უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

სპეციალისტის ხელმოწერა: _____

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი: _____

წინარე შეთანხმება

ერთხის მხრივ, ტენდერში მონაწილე პირი: -----

კომპანიის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი

(შემდგომში „კომპანია“) წარმოდგენილი: -----

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

იღებს ვალდებულებას და მეორეს მხერივ, სატენდერო პირობების შესაბამისად, კომპანიის მიერ სპეციალისტად წარმოდგენილი პირი: -----

სპეციალისტის სახელი და გვარი/პირადი ნომერი, სპეციალობა

(შემდგომში „სპეციალისტი“) თანხმდება, რომ კონკურსში -----

ტენდერის სახელი და უნიკალური ნომერი

„კომპანიის“ გამარჯვების შემთხვევაში, „სპეციალისტად“ წარმოდგენილი პირი იქნება დასაქმებული კომპანიაში და კომპეტენციის ფარგლებში, პირადად განახორციელებს შესაბამის სამუშაოებს.

სპეციალისტის ხელმოწერა _____

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი: _____

დანართი №3 რეკვიზიტები, საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები და ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ.

იურიდიული სახელწოდება	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი	
საიდენტიფიკაციო კოდი	
ბანკის კოდი	
საბანკო ანგარიში	
ტელეფონის ნომერი	
ელექტრონული ფოსტის მისამართი	

საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან _____ დღის ვადაში.

ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ: -----;

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი:

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი

ხელშეკრულება N

2017 წელი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება კონკურსის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის საკონკურსო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ: სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის ვასილ მაღლაფერიძის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე: შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (-----) ქ. თბილისში, კოსტავას N68-ში, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი და არსებული მესამე კორპუსის შენობების არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე (კლასიფიკატორის CPV კოდი №CPV71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV71220000 - არქიტექტურულ დაპროექტებასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV71222000 - არქიტექტურული მომსახურებები შენობის გარეთ განთავსებული ფართობებისთვის; CPV71223000 - არქიტექტურული მომსახურება შენობის გაფართოებისთვის; CPV71242000 - პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

- ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
- ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადებაზე თანდართული ყველა სხვა დოკუმენტი;
- გ) საკონკურსო დოკუმენტაცია;

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 2.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 2.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

- 3.1. ქ. თბილისში, კოსტავას N68-ში, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი და არსებული მესამე კორპუსის შენობების არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა.
- 3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება

- 4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული სპეციალურად უფლებამოსილი პირები.

5.2 შემსყიდველი მომსახურების მიწოდების პარალელურად განახორციელებს გაწეული მომსახურების შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის ობიექტს შემოწმების პროცესში აღმოჩნდება გარკვეული ხარვეზები ან გაწეული მომსახურების ხარისხი ვერ დაკმაყოფილებს შესაბამის ტექნიკურ მოთხოვნებს, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე.

5.3 გაწეული მომსახურების შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარება აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ მომზადებული საქსპერტო დასკვნ(ებ)ის და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა სრულად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს: ხელშეკრულების გაფორმებიდან - **150 (ასორმოცდაათი)** კალენდარულ დღეში;

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან, ჩათვლით).

7.3 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.4 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7.5 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 5.1 მუხლში აღნიშნული პირები.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

8.2 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

9.2. გადახდის ფორმა - უნაღდო.

9.3 ანგარიშსწორების გრაფიკი (მხარეთა შეთანხმებით);

9.4. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ. კერძოდ, შემსყიდველი ავანსად გადაურიცხავს მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს მიმწოდებლის მიერ ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, ასეთი გარანტიის

წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში. დარჩენილი სახელშეკრულებლო თანხის 90%-ის გადახდა მიმწოდებლისათვის განხორციელდება ანგარიშსწორების გრაფიკით გათვალისწინებული ეტაპების გათვალისწინებით, კონკრეტული ეტაპის დასრულების შემდეგ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში. მოთხოვნა საავანსო გადახდაზე უნდა იყოს აღნიშნული საკონკურსო წინადადებაში წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულების დადების დროს და მისი მოქმედების პერიოდში მოთხოვნა საავანსო გადახდაზე დაუშვებელია.

9.5. 9.4. პუნქტში მითითებული მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორების გრაფიკით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპების დასრულების შემდეგ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღეში.

9.6 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: 100 % - სახელმწიფო ბიუჯეტი (2017 და 2018 წლის სახსრები)

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა (ფასები)

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

11.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. მხარეთა ურთიერთობა

12.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით;

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

13.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, კონკურსში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 % - ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 3 (სამი) თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

13.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულების) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.

13.3 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მიმწოდებელს.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის - 0.1 %-ს.

14.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

14.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის ვადების დარღვევის შემთხვევაში), აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მომსახურების პერიოდში მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურებაში აღმოჩნდება მნიშვნელოვანი ხარვეზები და შემსყიდველის მიერ ხარვეზის აღმოსაფხვრელად დამატებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნული ხარვეზები არ იქნება აღმოფხვრილი/გამოსწორებული შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს 15.1 და 15.2 პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

15.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

15.5 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

17. დამატებითი პირობები

17.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

- 17.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
- 17.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისთვის.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"

ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #68

საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163

რეკვიზიტები:

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ხაზინა

ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი: TRESGE22

გენერალური დირექტორი

ვასილ მაღლაფერიძე -----